

რა არის Anti-TSHR?

Anti-TSHR თირეოტროპული ჰორმონის რეცეპტორის საწინააღმდეგო ანტისხეულია. ეს ანტისხეული უკავშირდება TSH-ის რეცეპტორს, ასტიმულირებს თირეოიდული ჰორმონების პროდუქციას და იწვევს ჰიპერთირეოიდიზმს.

აუტოიმუნური თირეოტოქსიკოზის ყველა ფორმა (გრეივისის დაავადება, ჰაშიტოქსიკოზი, ნეონატალური თირეოტოქსიკოზი) გამოწვეულია Anti-TSHR-ის მიერ.


მოცემული ტესტი რაოდენობრივად განსაზღვრავს შრატში არსებულ Anti-TSHR-ს.



ლაბორატორია — გამოძახებით!

მოგემსახურებათ კვირაში 7 დღეს,

24 საათის განმავლობაში



შრომის ქ. №14

www.vistamedi.ge

შემოგვიერთდით ფეისბუქზე:
www.facebook.com/vistamedi.ge

ტელ: 2 18-33-18; 2 91-72-10;

(568) 61-00-61

ელ-ფოსტა: info@vistamedi.ge



კარდიოექსპრესი
CARDIOEXPRESS

18 წელი თქვენს ვერტიკალით!!!

- ✓ კარდიო-რეანიმაციული ბრიგადები 24/7
- ✓ პაციენტთა უსაფრთხო ტრანსპორტირება
- ✓ უფასო სატელეფონო კონსულტაცია



☎ 239 00 00; 295 00 00
232 05 05; 599 55 34 44

№4

ივლისი; 2013



Anti-TSHR



კარდიოექსპრესი
CARDIOEXPRESS

Anti-TSHR

რატომ კეთდება Anti-TSHR ტესტი

ტესტი ინიშნება შემდეგ შემთხვევებში:

- ნაყოფში ნეონატალური თირეოტიკოზის განვითარების რისკის შესაფასებლად (როდესაც ორსულს გრეივისის დაავადება აქტიურ ფაზაში აქვს)
- გესტაციურ თირეოტიკოზსა და გრეივისის დაავადების რეციდივს შორის დიფერენციული დიაგნოზის გასატარებლად
- დიაგნოზის დადასტურებისთვის გრეივისის დაავადების კლინიკურად საეჭვო შემთხვევებში (მაგ., დაავადების მხოლოდ ექსტრათირეოიდული მანიფესტაციისას)
- ჩატარებული ანტითირეოიდული მკურნალობის შემდეგ გრეივისის დაავადების რეციდივის რისკის შესაფასებლად
- თირეოტიკოზის ეტიოლოგიის დიფერენციული დიაგნოსტიკისთვის

Anti-TSHR ანტისხეულების რაოდენობის განსაზღვრა განსაკუთრებით იმ ქალებისთვის არის საჭირო, რომლებსაც მკურნალობა ჩატარდა და თირეოტიკოზის ბიოქიმიური, ან კლინიკური გამოვლინებები აღარ აღენიშნებათ.

აღსანიშნავია, რომ გრეივისის დაავადების სამკურნალოდ არსებული მეთოდებიდან არცერთი არ მოქმედებს იმ პროცესზე, რომელიც მას საფუძვლად უდევს. ამიტომ Anti-TSHR-ის

წარმოქმნა ჩატარებული მკურნალობის შემდეგაც შეიძლება გრძელდებოდეს. ეს საყურადღებო ფაქტია ორსული ქალებისათვის, რადგან Anti-TSHR ანტისხეულები IgG კლასს მიეკუთვნებიან. შესაბამისად, მათ შეუძლიათ გადალახონ პლაცენტის ბარიერი და გამოიწვიონ ნეონატალური თირეოტიკოზი.

Anti-TSHR-ის ტესტით ანტისხეულების აღმოჩენა აუტოიმუნური თირეოტიკოზის კლინიკურ, ან ბიოქიმიურ მანიფესტაციამდე შეიძლება.

როგორ კეთდება ანალიზი?

ანალიზისათვის საჭიროა ვენური სისხლი. სპეციალური მომზადება საჭირო არ არის.

ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია

Anti-TSHR-ის ტესტის შედეგების ინტერპრეტაციას ახდენს მკურნალი ექიმი. გრეივისის დაავადების დროს, ამ ტესტის მგრძობელობა და სპეციფიკურობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის მკურნალობა აქვს პაციენტს ჩატარებული.

Anti-TSHR-ის კონცენტრაცია ძირითადად გრეივისის დაავადებისას იმატებს. გესტაციური თირეოტიკოზის დროს ძალიან იშვიათია Anti-TSHR ანტისხეულების რაოდენობის მომატება. ამ ფაქტს შეუძლია დაეხმაროს ექიმს ზემოხსენებულ დაავადებებს შორის დიფერენციული დიაგნოზის გატარებისას.

Anti-TSHR ანტისხეულების მაღალი კონცენტრაცია, ანტითირეოიდული მედიკამენტებით ჩატარებული თერაპიის კურსის ბოლოს, გრეივისის დაავადების რეციდივზე მიანიშნებს.

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

Anti-TSHR-ს აქვს მრავალი ალტერნატიული დასახელება: ანტითირეოტიკოპინი, TSH/თირეოტიკოპინის/თიროიდმასტიმულირებელი ჰორმონის რეცეპტორის საწინააღმდეგო ანტისხეული, TRAb, TSI (thyroid-stimulating immunoglobulin - თიროიდმასტიმულირებელი იმუნოგლობულინი), LATS (long-acting-thyroid-stimulator - ხანგრძლივად მოქმედი თიროიდმასტიმულატორი).

დამატებითი ინფორმაცია

- ❖ თუ პაციენტს დანიშნული აქვს ბიოტინის მაღალი დოზებით მკურნალობა, ანალიზისთვის სისხლი უნდა აიღოს ბიოტინის ბოლო მიღებიდან მინიმუმ 8 სთ-ის შემდეგ
- ❖ ჰეპარინის მიღებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ტესტის შედეგებზე

